

## თბილისი

№ 619/03

08 ოქტომბერი 2014წ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების“ მე-14 მუხლის შესაბამისად და “აბიტურიენტებისათვის/სტუდენტებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 20 აგვისტოს №933 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 სექტემბრის №1057 ბრძანების გათვალისწინებით

ებრძანებ:

I. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაციის ფაკულტეტის ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნეს ერაყის რესპუბლიკის შემდეგი მოქალაქეები:

1. აიამან ხაზაალ დჰანნუნ დჰანნუნ;
2. ჯააფარ საფაულდინ ჯააფარ ალ-თამიმი.

II. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ სტუდენტებს ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განესაზღვროს 2014 წლის 30 ნოემბრამდე.

III. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე და ჩარიცხულ სტუდენტთა სწავლების კურსის განსაზღვრა დაევალოს თსსუ-ის ფარმაციის ფაკულტეტის დეკანს დ.ბერაშვილს.

IV. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ბრძანების გამოქვეყნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

V. ბრძანება ეგზავნება ვიცე-რექტორს რ. ბერიაშვილს, უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს დ.თოფურიას, ფარმაციის ფაკულტეტის დეკანს დ.ბერაშვილს, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსს ი. ავალიანს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს ზ. ტალახაძეს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსს რ. რუხაძეს, ფინანსური რესურსების მართვის და აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსს ნ. მარიამიძეს, მთავარ ბუღალტერს ი. დოლიძეს.

VI. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

**რექტორი**